ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N248

ქ. თბილისი 21 დეკემბერი, 2016 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ **საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის **ივანე ქუმარიტაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი **გივი მაღრაძე** (შემდგომში - „მიმწოდებელი"), "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტის „ს'" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2016 წლის „გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ღონისძიების" **(ორგ. კოდი 38 01 03)** დაფინანსების ფარგლებში, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს "შემსყიდველმა" "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „შესყიდვის ობიექტი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: საზოგადოების ინფორმირებულობისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების კამპანიის „ნუ მოჭრი, მორთე" ფარგლებში, 1 ერთეული ვიდეორგოლის დამზადების (CPV – 92111260) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (შემდგომში - მომსახურება).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში და საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით შეადგენს - **4500.00 (ოთხი ათას ხუთასი)** ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

4.1. „მიმწოდებელი" მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველთან შეთანხმებული პროცედურებისა და სცენარის შესაბამისად, არაუგვიანეს 2016 წლის 27 დეკემბრისა.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაში არ ჩაითვლება დროის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ის შეჩერებულია "შემსყიდველის" მიზეზით.

4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია "შემსყიდველის" ადგილსამყოფელი.

4.4. მომსახურების გაწევის ადგილია ქალაქი თბილისი - ლოკაციები შემსყიდველთან შეთანხმებით.

4.5. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კამპანიის „ნუ მოჭირი, მორთე" ფარგლებში, ცნობიერების ამაღლებისა და ნაძვის ხის ჭრის პრევენციის მიზნით, კამპანიის შინაარსისა და მნიშვნელობის ამსახველი ვიდეო რგოლის დამზადება, რომელშიც უნდა აისახოს სხვადასხვა კომპანიების მიერ ნაძვის ხეების მორთვის პროცესი. ვიდეორგოლის ქრონომეტრაჟი უნდა შეადგენდეს არა ნაკლებს 1 წუთს, ხოლო ვიდეორგოლის მუსიკა უნდა იყოს ლიცენზირებული. ასევე ყველა პროცედურა და სცენარის დეტალები თანხმდება შემსყიდველთან.

4.6. მომსახურების გაწევისას მიმწოდებელი გამოიყენებს შემდეგ აპარატურას: ა) Camera Gear: 3 x canon 5D mark iii; Sony fs700R,DJI Ronin; DJI S1000 + DJI Phantom - 3. Glidecam HD 4000 HD2000. ბ) კამერის ლინზა: canon 24mm f.14, nikkor 50mm f1,4, sigma 20mm f 1,4, Tokina 11-26 f2,8, carlzeiss 21mm f 2,8.

5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ეკატერინე ბენდელიანი და ამავე სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ქსელის ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი ავთანდილ იმნაძე.

5.2. ინსპექტირება გულისხმობს "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

5.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს "შემსყიდველი" ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ "შემსყიდველი" ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით "შემსყიდველი".

5.4. ინსპექტირების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.5. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები უნდა იყოს გაწეული მომსახურების ღირებულება.

6.3. "შემსყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირს წარმოადგენს: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ქსელის ადმინისტრირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი კახა შენგელია.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

7.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. **"შემსყიდველი" უფლებამოსილია:**

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მიმწოდებლის ქმედებით ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლის შედეგების დადგომისას, მიწოდებული მომსახურების ღირებულება გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოსა და ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და მე-7 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 დღის განმავლობაში.

8.2. **"შემსყიდველი" ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, "მიმწოდებელს" გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.

8.3. **"მიმწოდებელი" უფლებამოსილია:**

ა) მოსთხოვოს "შემსყიდველს" მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4. **"მიმწოდებელი" ვალდებულია:**

ა) გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულების მე-2 მუხლითა და ამავე ხელშეკრულების სხვა პირობებით გათვალისწინებული მომსახურება, ხოლო ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრას ყველა უზუსტობა.

ბ) სრულად აანაზღაუროს მისი ბრალეულობითა და დაუდევრობით გამოწვეული მატერიალური ზარალი.

გ) დროულად განიხილოს "შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.5. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, "მიმწოდებელი" ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ის ოდენობით.

9.2. მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში "შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4. პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო.

9.5. გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით ინსპექტირების ჯგუფის მიერ განსაზღვრულ და ,,შემსყიდველთან'' შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები "შემსყიდველისთვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ დაუყოვნებლივ, წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელისშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს კომუნიკაციის

ელექტრონული საშუალებით ან წერილობითი ფორმით მიმართოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ასევე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა უთანხმოება და დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. შესყიდვის ობიექტის სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება, მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკება და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა "შემსყიდველს", ხოლო ერთი ეგზემპლარი - "მიმწოდებელს".

17. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	ფიზიკური პირი გივი მაღრაძე
მის: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №6 ტელ/ფ: 2727200, 2727220, 2727237 ელ/მ: www.moe.gov.ge ს/კ: 204861943 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222, ა/ა: 200122900	მის: ქ. თბილისი, ქურდიანის ქ. №4, ბ32 ტელ/ფ: (+995) 598 29 27 19 პ/ნ: 01005023362 საბანკო რეკვიზიტები: სს ,,საქართველოს ბანკი'' ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა: GE31BG0000000842783200
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ივანე ქუმარიტაშვილი	გივი მაღრაძე

მე, შემსყიდველის/მიმწოდებლის/ხელისმომწერი, მიმწოდებლის მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლით რინტერესთა კონფლიქტის ფაქტის/ნიშნების (ან/ან ინფორმაციის) შესახებ.